პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 დეკემბერი პარასკევი 1972 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 287 (15500)

მოსკოვი — სსრ კავშირის დედაქალაქი, რუსეთის სფსრ დედაქალაქი.

ბ. სობოლევის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲓᲨᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

50 СССР

თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ძმურ ოჯახში რუსეთის ფედერაცია ყველაზე მრავალეროვანი და ყველაზე დიდია. როცა მოსკოვის ოლქში მზე ჩადის, შორეულ აღმოსავლეთში ახალი დღე იწყება. ათი საათის სარტყელი აშორებს დედაქალაქს ჩუკოტკისაგან. ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული რუსეთის სივრცეები დეუნვის შორეული კონცხიდან ბალტიის ზღვამდე, პოლარული კუნძულებიდან მზიურ სოჭამდე. საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სამი მეოთხედი, 150 მილიონზე მეტი მოსახლეობა, თექვსმეტი ავტონომიური რესპუბლიკა, ხუთი ავტონომიური ოლქი, ათი ეროვნული ოკრუგი, ორმოცდაცხრა ოლქი და ექვსი მხარე, თითქმის ათასი ქალაქი და ორი ათასამდე დაბა — ყოველივე ეს არის რუსეთი, გოლიათური და მშვენიერი მხარე.

მისი სიმდიდრე აუსაზღვრელია. საბჭოთა რუსეთი ეს არის ბუნებრივი გაზისა და ქვანახშირის საერთო მარაგის 70 პროცენტზე მეტი, მთელი ტყის რესურსების 94 პროცენტი. საბჭოთა რუსეთი ქვეყანას აძლევს მთელი ნავთობის 81 პროცენტს, ელექტროენერგიის 64 პროცენტს, ბევრ სხვა მრავალფეროვან პროდუქციას.

დიდი და უკიდეგანოა საბჭოთა რუსეთი, დიდია მისი ეკონომიური პოტენციალი. მისი სახალხო მეურნეობა მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა მოკავშირე რესპუბლიკების განვითარებასთან. სსრ კავშირის ეკონომიკა დღეს ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული სახალხო-სამეურნეო კომპლექსი.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობა, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. 1,4-ჯერ გაიზრდება ხუთწლედში რუსეთის სფსრ ეროვნული შემოსავალი, თითქმის 40 პროცენტით გადიდდება ელექტროენერგიის გამოშვება, 41,8 პროცენტით — ნავთობის მოპოვება. 1975 წელს რუსეთი ამოიღებს 374 მილიონ ტონა ქვანახშირს, გამოადნობს 52,7 მილიონ ტონა თუჯს და 80,8 მილიონ ტონა ფოლადს. ერთიორად და მეტად გაიზრდება სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების წარმოება. უკრო ბარაქიანი გახდება რუსეთის უკიდეგანო ყანები—მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი დაგეგმილია 116 მილიონი ტონის ოდენობით, მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის შესყიდვის მოცულობა.

რუსეთის რესპუბლიკა ატარებს ფედერაციულის სახელწოდებას. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა რუსეთის ფედერაციის საფუძვლები. მის მიერ დაწერილ „მშრომელთა და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციაში“ ნათქვამია: „...რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ყალიბდება თავისუფალი ერების თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაცია“.

სრულიად რუსეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ 1918 წლის 10 ივლისს პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებით კანონმდებლურად განამტკიცა ლენინური იდეა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაციის ფორმით რუსეთის სფსრ სახელმწიფო მოწყობის შესახებ. 1922 წლის დამლევისათვის რუსეთის სფსრ შემადგენლობაში შედიოდა 10 ავტონომიური რესპუბლიკა, 11 ავტონომიური ოლქი.

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთის ფედერაცია ხელიხელჩაკიდებული მიაბიჯებს სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, ეს ცარიელი სიტყვები როდია, არამედ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის, კომუნიზმის გზით ჩვენი შემდგომი წინსვლის არსი, საფუძველთა საფუძველია. ხალხთა მეგობრობა — ჩვენი ყველაზე ძვირფასი განძი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფი — ის უდიდესი მამოძრავებელი ძალაა, რომელსაც არ იცნობდა და არ იცნობს არც ერთი ბურჟუაზიული, კაპიტალისტური ქვეყანა.

ნახევარი საუკუნე ისტორიისათვის დიდი ვადა როდია. რუსეთი კი ამ წლების მანძილზე სრულიად შეიცვალა. მილიონობით ადამიანის ნებისყოფამ, შრომამ, ენთუზიაზმმა, იმ ყველა ერისა და ეროვნების ურღვევმა კავშირმა, რომელიც ატარებს ერთ საერთო სახელს — საბჭოთა ხალხი, რუსეთის ფედერაცია, მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლო გადაიქცია მძლავრ, აყვავებულ ხალხემწიფოდ.

რუსეთმა, ისე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, განვლო სახელოვანი გზა, მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს. წინ კიდევ უფრო მშვენიერი მომავალია.

ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ

ერთხმად ვიწონებთ, ერთსულოვნად ვუ-ჭერთ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას „1972-1973 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“, — აცხადებენ საქართველოს სოფლის მშრომელები. ისინი ამ დოკუმენტში ხედავენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უფუნელებელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლედის შესამე წლის გეგმით დასახულია მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების, მყარი საკვები ბაზის შექმნის, პირუტყვის და ფრინველის ჯიშიანობის გაუმჯობესებისა და სულადობის ზრდის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საფუძველზე მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დიდი ღონისძიებანი. ამ მხრივ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში საკმაო წარმატებებია მოპოვებული.

მაგრამ თქმა იმისა, რომ მეცხოველეობაში ყველაფერი რიგზეა, შეცდომა იქნებოდა. საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ბევრი რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებას, გადამჭრელ ზომებს არ იღებენ პირუტყვის სულადობის ზრდისათვის, საკვები ბაზის განმტკიცებისა და დაავადებათა ლიკვიდაციისათვის, ფერმებში ხშირად ვხვდებით ანტისანიტარულ მდგომარეობას, მეცხოველეებს ზოგან შექმნილი არა აქვთ შრომისა და კულტურული გართობა-დასვენების სათანადო პირობები. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაზე, ამ დარგის რენტაბელობაზე.

თუ გადავხედავთ მეცხოველეობაში ათი თვის მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ მთელ რიგ რაიონებში მდგომარეობა დამაფიქრებელია. მიმდინარე წლის ათ თვეში რესპუბლიკაში ხორცის წარმოების მდგომარეობა არასახარბიელოა—წლიური გეგმა შესრულებულია 75 პროცენტით. ნაცვლად 604.366 ცენტნერისა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა აწარმოეს 451.516 ცენტნერი ხორცი. ღორის ხორცის წარმოება რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში ერთობ არასახარბიელია. ათ თვეში მხოლოდ 33.758 ცენტნერი ხორცი აწარმოეს, ანუ წლიური გეგმის 63 პროცენტი. ასევე ითქმის რძისა და კვერცხის წარმოებაზეც.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ქობულეთის რაიონის ხელმძღვანელები, როცა იქ კვერცხის წარმოების გეგმა მხოლოდ 27 პროცენტით არის შესრულებული? ქობულეთი ხომ საკურორტო რაიონია. იქ კვერცხზე მოთხოვნილება დიდია. წელს 1.290 ათასი კვერცხი უნდა ეწარმოებინათ, ჯერჯერობით 318 ათასი აწარმოეს. შარშან ქობულეთელებმა შესაბამის პერიოდში 886 ათასი ცალი კვერცხი აწარმოეს. რატომ შემცირდა კვერცხის წარმოება? ქობულეთის რაიონში ასევე შეიწყვარებლად შემცირდა რძის წარმოებაც.

მეცხოველეობის შემდგომი ალმავლობა წარმოუდგენელია, თუ ყოველწლიურად არ უმჯობესდება ნამატის მიღების, პროდუქტების წარმოების და გაიაფების საქმე, თუ საკვები ბაზის განმტკიცებაზი სათანადოდ არ ზრუნავენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში ნამატის მიღებისა და შენარჩუნების საქმე უკან მიდის. ნამატის მიღების საქმე განსაკუთრებით ცუდად არის საბჭოთა მეურნეობებში. ყოველ 100 ძროხასა და ფურკამეჩზე შარშან 62 ხბო და ზაჟი მიიღეს, წელს კი — 59, გოჭი ყოველ 100 დედაღორზე შარშან მიიღეს 915, წელს — 771. ყოველ დედაცხვარსა და თხაზე შარშან 80 ბატკანი და თიკანი მიიღეს, წელს — 73. შარშანდელთან შედარებით ხბორების ნამატი ყოველ ას ძროხასა და ფურკამეჩზე საგრძნობლად შემცირდა ლაგოდეხის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, ცხინვალის, ჯავის, წულუკიძის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის და გალის რაიონებში. რას იტყვიან ამის შესახებ ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, საზოგადებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები? ეტყობა, მათ შარშანდელი მწარე გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები ვერ გაიკეთეს. უფრო აღმაშფოთებელია ამ მხრივ მდგომარეობა თეთრი წყაროს რაიონში. შარშან ყოველ ას ღორზე ძალიან ცოტა — 603 გოჭი მიიღეს, მაგრამ წელს ეს მაჩვენებელიც ვერ შეინარჩუნეს, ჯერჯერობით ათ თვეში მხოლოდ 38(!) გოჭი მიიღეს. მინდობილ საქმეში დაუდევრობა, ვფიქრობთ, ამაზე შორს ვერ წავა.

მეცხვარეობა ჩვენი რესპუბლიკის მთიანი რაიონების წამყვანი დარგია. ბევრ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას ამ მხრივ საკმაო წარმატებები აქვს. წითელწყაროსა და ბოგდანოვკის რაიონების მეცხვარეთა (და არა მარტო მეცხვარეთა, საერთოდ მეცხოველეთა) გამოცდილება სხვა რაიონებისათვის კარგი მაგალითია. მათგან ბევრი რამის სწავლა და გადმოღება სარგებლობას მოუტანდა საზოგადებრივ მეცხოველეობას. მაგრამ ახე რ ოდია. უმთავრესად უნდა შევეხოთ ცხვრის ნამატის მიღებ ა ს ა და შენარჩუნებას. ეს საქმე გაუარესდა საბჭოთა მეურნეობებში. ოცდაერთი რაიონიდან, სადაც საბჭოთა მეურნეობები მეცხვარეობას მისდევენ, ჩვიდმეტში ცხვრის ნამატის მიღება და შენარჩუნება შემცირდა.

გარდა ამისა, რესპუბლიკაში დიდია პირუტყვის დაზოცვის პროცენტი. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჯავის რაიონი, სადაც დაზოცვის პროცენტი მაღალია არა მარტო მეცხვარეობაში, არამედ მეღორეობაშიც. ახევე ითქმის თიანეთის, ახალციხის, ახალქალაქის და სხვა რაიონებზე.

მტაცეცი საკვები ბაზის შესაქმნელად რესპუბლიკის მეტ წილ რაიონში ხელსაყრელი პირობები იყო. ბევრმა მეურნეობამ უხეში და წვნიანი საკვების წლინახევრის მარაგი შექმნა. მაგრამ ყველგან მაინც ვერ გამოიყენეს არსებული რესურსები. ნოემბრის ბოლოსათვის უხეში საკვების დამზადების გეგმა რესპუბლიკაში მხოლოდ 89 პროცენტით იყო შესრულებული, ხოლო სილოსისა — 75 პროცენტით. აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ სილოსის დამზადების გეგმა მხოლოდ 17 პროცენტით შეასრულა, ხოლო საკვების წლინახევრის მარაგის შექმნის სოცშეჯიბრების ინიციატორებმა თეთრიწყაროელებმა — 39 პროცენტით.

საკვები მარაგის შექმნის საქმეში განსაკუთრებით მძიმე ბუნებრივი პირობები შეიქმნა ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ ნახევარშილიონ ცხვარს საკვები აკლია. საკვები მარაგის შესავსებად ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელი ოლქების ტერიტორიაზე დამზადდა უხეში საკვები, მაგრამ ცხვრის ბინებამდე მისი მიტანა გაჭიანურდა. ამ საქმეში გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხვრის უხეში საკვებით უზრუნველყოფა საფრთხეშია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებით მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდა წითელი დროშები, პრემიები, სიგელები. გარდა ამისა ის მეცხოველეები, რომლებიც მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში და მომავალი წლის პირველ ნახევარში მიაღწევენ დიდ წარმატებას, დაჯილდოვდებიან ორდენებითა და მედლებით. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ ზრუნვას ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელები, მეცხოველეები ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ.

სოცშეჯიბრება მთელი ძალით გაჩაღდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფერმებსა და ბრიგადებში. პარტიის სასოფლო რაიკომების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის საპატიო მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მეცხოველეთა სოცშეჯიბრებას და ენერგიულად იბრძოლონ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲩᲘᲚᲔᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

6 დეკემბერს კრემლში დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. პ. კირილენკო**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო**, და ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტი **სალვადორ ალიენდე გოსენსი**, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ჩილეს ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, გაიმართა ავრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე.

7 დეკემბერს კრემლში გრძელდებოდა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. პ. კირილენკო**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო** და ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტი **სალვადორ ალიენდე გოსენსი**.

მოლაპარაკების დროს გაგრძელდა აზრების ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირისა და ჩილეს რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარების გზების შესახებ. ურთიერთგაგების სულისკვეთებით განიხილეს საკითხები, რომლებიც შეეხება ორმხრივი ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობის გაფართოებას. მხარეებმა განიხილეს ავრეთვე მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობდა საყოველთაო მშვიდობის და ხალხთა უშიშროების განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ნ. ს. პატოლიჩევი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ა. სკაჩკოვი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ-მოადგილე **ვ. ვ. კუზნეცოვი**, სსრ კავშირის ელჩი ჩილეს რესპუბლიკაში **ა. ვ. ბასოვი**.

ჩილეს მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ჩილეს რესპუბლიკის მთავრობის წევრები: საგარეო საქმეთა მინისტრი **კლოდომირო ალმეიდა**, სენატორი **ფელიქს კორვალანი** — ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი **ლუის ფიგეროა**, ეროვნული დაგეგმვის სამმართველოს დირექტორი **გონსალო მარტნერი**, მინისტრის რანგის ელჩი **ერნან სანტა კრუსი**, საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სამდივნოს აღმასრულებელი მდივანი **ერნესტო ტორალბა**, ჩილეს ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი **ალფონსო ინსტროსა**, ჩილეს რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში **მარიო დრიგრანდი** და სხვა ოფიციალური პირები.

მხარეებმა დათქვეს გამართული მოლაპარაკების შედეგების შესახებ გამოაქვეყნონ საბჭოთა კავშირ-ჩილეს ერთობლივი კომუნიკე.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობისა და განნილულ საკითხებზე შეხედულებათა და პოზიციათა ერთიანობის ვითარებაში. (საკდესი).

ᲩᲘᲚᲔᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ 6 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში სალიონი გამართეს ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტის **სალვადორ ალიენდე გოსენსის** პატივსაცემად.

საპატიო სტუმართან და მის მეუღლესთან ერთად სადილზე იყვნენ ჩილეს რესპუბლიკის მთავრობის მოსკოვში ჩამოსული წევრები, ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი **ლუის კორვალანი**, ავრეთვე, ჩილეს რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული და ჩილეს რესპუბლიკის საბჭოთა კავშირში **მარიო დრიგრანდი**, სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ფ. დ. კულაკოვი, ჯ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ვ. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ხ. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი** და სხვები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ** და ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა **სალვადორ ალიენდემ** წარმოთქვეს სიტყვები, რომლებსაც დიდი ყურადღებით მოუსმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. შიტიკოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ს. ნასრიდინოვამ ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარეს ვ. ი. სუკსილაინენს გაუგზავნეს მილოცვის დეპეშა ფინეთის რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან — დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. (საკდესი).

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდგისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეთა სოციალისტური ვალდებულებანი

ჩვენი კოლმეურნეობის ფერმების მშრომელებში დიდი ენთუზიაზმი გამოიჩვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებამ „1972-1973 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა შეჯიბრების“ გამო.

ბრიგადებსა და ფერმებში ფართოდ გაჩაღდა ახსნა-განმარტებითი მუშაობა. აგიტატორები და პოლიტინფორმატორები საუბრობენ ამ დოკუმენტის დიდ მნიშვნელობაზე, პირუტყვისა და ფრინველის მალალი პროდუქტიულობისათვის ჩვენი ქვეყნის მეცხოველეთა მასობრივ მოძრაობაზე განსაკუთრებით ძნელ, ზამთრის პერიოდში. კოლმეურნეობის გამგეობის სხდომასა და კოლმეურნეთა საერთო კრებაზე მეცხოველეებმა აღნიშნეს, რომ ამ ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფისათვის. საზოგადებრივი ჯოგის ჯამობრივი გაუჯობესებისათვის, მწყემსთა ბინების კეთილმოწყობისა და მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მეცხოველეობის მნიშვნელოვან განვითარებას ჩვენს კოლმეურნეობაში.

1971 წელს კოლმეურნეობის მერძევეობის ფერმაში 500 ძროხაზე მიღებულია 7.580 ცენტნერზე მეტი რძე, ერთ საფურაკეი ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 1.600 კილოგრამი რძე. ეგრეთვე 1972 წელს 510 ძროხაზე მივიღეთ 9.000 ცენტნერი რძე, ერთ ძროხაზე — საშუალოდ 1.904 კილოგრამი რძე.

მეტისმეტად სუსხიანი ზამთრის მიუხედავად, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მეცხვარეობას, ყოველ ას ცხვარზე მივიღეთ 88 ბატკანი, ერთი ცხვრის ნაპარსმა საშუალოდ 2,7 კილოგრამი მატყლი შეადგინა. თვითეული ნეზვზე საშუალოდ მივიღეთ 15 გოჭი. სახელმწიფოს მივაწოდეთ 540 ტონა რძე. გეგმით გათვალისწინებული 466 ტონის ნაცვლად, 206 ტონა ხორცი გეგმით გათვალისწინებული 175 ტონის ნაცვლად და 316 ცენტნერი მატყლი დავალებით გათვალისწინებული 306 ცენტნერის ნაცვლად.

ყველა ეს მაჩვენებელი კიდევ მეტად გაიზრდება წლის დამლევისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების პასუხად ბოდბისხევლიმა მეცხოველეებმა ერთხელ კიდევ გადასინჯეს რეზერვები და გადაწყვიტეს მთელი ძალები მოახმარონ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალისა და 1973 წლის პირველი ნახევრის პროგრამის გადაჭრებით შესრულებას. 1972 წლის მეოთხე კვარტალში ეაწარმოებთ 50 ტონით მეტ რძეს და 20 ტონით მეტ ხორცს, ვიდრე წინა წლის შესაბამის პერიოდში.

წლის დამლევისათვის გვიყოლება 70 სულით მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, (მათ შორის 60 ძროხა), ვიდრე გასული წლის დამლევისათვის. ღორი შესაბამისად გვიყოლია 100 სულით მეტი, ცხვარი — 300 სულით მეტი. სახელმწიფოს მივაყიდით ხორცს 30 ტონით მეტს, რძეს — 60 ტონით, მატყლს 10 ცენტნერით მეტს.

ხუთწლედის მესამე წლის პირველ ნახევარში ვაწარმოებთ 5.870 ცენტნერ რძეს, მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში მიღებული 5.075 ცენტნერის ნაცვლად, ეს კი ნიშნავს, რომ ძროხის საშუალო წველადობა გადიდდება 180 კილოგრამით. მივიღებთ 300 ხბოს, 75 სულით მეტს. ყოველ ას ნერბზე მივიღებთ 92 ბატკანს, რაც 1.000 სულით გაადიდებს მოზარდეულის სულადობას. ნაპარსი მიაღწევს 150 ცენტნერ მატყლს, 50 ცენტნერით მეტს, ვიდრე 1972 წლის პირველ ნახევარში. მივიღებთ 1.500 გოჭს, 212 სულით მეტს. ვაწარმოებთ 60 ტონით მეტ ხორცს, ვიდრე მიმდინარე წლის შესაბამის პერიოდში.

სახელმწიფოს მივაწოდით 350 ტონა რძეს, 124 ტონა ხორცს, 160 ცენტნერ მატყლს, რაც შესაბამისად 107,43 ტონით და 60 ცენტნერით აღემატება მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ანალოგიურ მაჩვენებლებს და გეგმაზე გაცილებით მეტია.

ამ ვალდებულების შესასრულებლად განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობთ მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, როგორც მეცხოველეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას. დაგამზადებთ და ფერმებთან მიგზავნიდით 4.520 ტონა უხეში საკვები, ჩავდებთ 8.800 ტონა სილოსი, 250 ტონა სენაჟი, 600 ტონა საკვები ჭარხალი —გეგმაზე გაცილებით მეტი.

ცხოველთა მთელი სულადობა მოთავსებულია კაპიტალურ სადგომებში, სადაც მექანიზებულია შრომატევადი პროცესები.

კიდევ უფრო მაღალი ვალდებულებანი იკისრეს ბრიგადის წევრებმა, რომელსაც სპირიდონ ბაალიაშვილი ხელმძღვანელობს. მათ გადაწყვიტეს 120 ძროხაზე მეოთხე კვარტალში მიიღონ 10 ტონით მეტი რძე, ვიდრე 1971 წლის უკანასკნელ კვარტალში, 1973 წლის პირველ ნახევარში კი 48 ტონით მეტი რძე, ვიდრე მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში. ბრიგადაში მიიღებენ 20 სულით მეტ ხბოს და აწარმოებენ 50 ცენტნერით მეტ ხორცს, ვიდრე წელს. ბრიგადის წევრი რამაზ მარგოშვილი ვალდებულებას კისრულობს მიჩენილი 22 ძროხიდან თვითეულზე მიიღოს 2.500 კილოგრამი რძე.

მეცხვარეთა ბრიგადამ, რომელსაც მისეულ ილაშვილი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა მომავალი წლის პირველ ნახევარში 100 ნერბზე მიიღოს 100 ბატკანი და თვითეულ ცხვარზე 2 კილოგრამი მატყლი.

მეღორეთა ბრიგადის წევრებმა, რომელსაც ივერი ყაჯრიშვილი ხელმძღვანელობს, გადაწყვიტეს წლის პირველ ნახევარში საშუალოდ ერთ ნეზვზე მიიღონ 11 გოჭი მიმდინარე წლის ექვს თვეში მიღებული 8,3 გოჭის ნაცვლად.

ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობას.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია კოლმეურნეთა საერთო კრებაზე

ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის წევრთა სოციალისტური ვალდებულებანი

ჩვენი არტელის კოლმეურნეები მხურვალედ იწონიებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას „1972-1973 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“, რომელიც გამსჭვალულია დიდი ზრუნვით საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის.

წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა და ვალდებულება. ავშონ-დავშონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ 1972 წლის მეოთხე კვარტალში ხორცის წარმოება გავადიდოთ 305 ცენტნერამდე ვალდებულებით გათვალისწინებული 140 ცენტნერის ნაცვლად, რაც 145 ცენტნერით მეტია, ვიდრე ვაწარმოეთ 1971 წლის მეოთხე კვარტალში.

(დასასრული მე-2 გვ.).

**ᲑᲠᲫᲐᲜ

ფერმეგის მაღალი პროდუქტიულობისათვის

(დასასრული)

თუ მიმდინარე წლის უკანასკნელი კვარტალის განმავლობაში გათვალისწინებული იყო გვეწარმოებინა 465 ცენტნერი რძე, უკვე მივიღეთ 520 ცენტნერი, წლის დამლევამდე კი ვაწარმოებთ კიდევ 80 ცენტნერს. წინათ ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით სახელმწიფოს მივყიდეთ 182 ცენტნერ ხორცსა და 280 ცენტნერ რძეს, ამ პროდუქტების დამზადებას გასული წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით გავადიდებთ 104 ცენტნერითა და 86 ცენტნერით შესაბამისად.

1973 წლის პირველ ნახევარში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობას გეგმასთან შედარებით 13 პროცენტით გავადიდებთ, მათ შორის ძროხისას — 5 პროცენტით. ხორცის წარმოებას გავადიდებთ 220 ცენტნერამდე, რაც დაგალებაზე 40 ცენტნერით მეტია და 15 ცენტნერით ჭარბობს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს.

ვაწარმოებთ 1.650 ცენტნერ რძეს, რაც 70 ცენტნერით აღემატება 1972 წლის პირველი ნახევრის ანალოგიურ მაჩვენებელს და გეგმით გათვალისწინებულზე 400 ცენტნერით მეტია. სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერის ნაცვლად მივყიდით 150 ცენტნერ ხორცს, 1.400 ცენტნერ რძეს, სახელმწიფოსათვის მიმდინარე წლის 6 თვეში მიყიდული 1.329 ცენტნერის ნაცვლად, და 10 ცენტნერ მატყლს, გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერის ნაცვლად.

მიმდინარე წელს თვითეულ ძროხაზე უკვე მივიღეთ 2.810 კილოგრამი რძე გეგმით გათვალისწინებული 2.400 კილოგრამის ნაცვლად, წლის დამლევამდე კი ამ ციფრს გავადიდებთ 3.020 კილოგრამამდე. მომავალი წლის პირველ ნახევრიდან გალდებულებას გვისრულებთ მივიღოთ საშუალოთ 1.600 კილოგრამი რძე თვითეულ ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.300 კილოგრამის ნაცვლად და 1.581 კილოგრამი, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოწეულიის ნაცვლად.

ხორცის წარმოების გადიდების მიზნით გადავწყვიტეთ 1973 წელს გავადიდოთ ინტენსიურად სასუქებელი მოზარდეულის სულადობა, სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის ცოცხალი წონა გავზარდოთ 350 კილოგრამამდე გეგმით გათვალისწინებული 300 კილოგრამის ნაცვლად.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული შრომის გულდასმით მოფიქრებულ ორგანიზაციაზე, კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებაზე, საკვები ბაზის განმტკიცებაზე.

1972-1973 წლების ბაგური პერიოდისათვის საკვები ისეთი ვარაუდით დავამზადეთ, რომ თვითეულ სულზე მოდიოდეს საშუალოდ 2.800 კილოგრამი უხეში საკვები, 3 ათასი კილოგრამი სენაჟი და სილოსი, ათას კილოგრამზე მეტი კონცენტრატები. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე დამზადებული იყო 1971 წელს. იმისათვის, რომ უხეში საკვები უფრო ადვილი იყოს მოსანელებლად, მას ვამუცმაცებთ, ვთუთქავთ, ვამუშავებთ კირით, ვუმატებთ კომბინირებულ საკვებს. დიდყუთათანა საკვების წარმოების გადიდების მიზნით გავაფართოებთ ბარდისა და რაფსის სანაწვერალო ნათესებს. გაცილებით მეტ ყურადღებას დაგუთმობთ ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებას. მომავალ წელს ბუნებრივ სათიბებსა და საძოვრებზე შევიტანთ 100 ტონა მინერალურ სასუქებს და ერთ ჰექტარ ბუნებრივ სათიბზე მივიღებთ სულ ცოტა 25 ცენტნერ თივას. 1973 წლის დამდეგს დაგამთავრებთ ოთხწყრივიანი საძრობის მშენებლობას 200 ძროხისათვის, სადაც ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზებული იქნება.

ჩვენი კოლმეურნეობის ცალკეულმა მეცხოველეებმა იკისრეს უფრო მაღალი ვალდებულებანი. მაგალითად, მწველავმა კომკავშირელმა ზ. ალიევამ ნაკისრი წლის დამლევამდე თვითეულ გაბერილებულ ძროხაზე მიიღოს 3.030 კილოგრამი რძე გეგმით გათვალისწინებული 2.360 კილოგრამის ნაცვლად, მომავალი წლის პირველ ნახევარში კი ერთ ძროხაზე მიიღოს 1.900 კილოგრამი, რაც 100 კილოგრამით მეტია, ვიდრე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

მწველავმა ხ. მსონიანმა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ვალდებულება იკისრა მიიღოს 910 კილოგრამი რძე თვითეულ ძროხაზე, ხოლო მომავალი წლის პირველ ექვს თვეში — 2.000 კილოგრამი რძე, რაც გეგმაზე 600 კილოგრამით მეტია და 150 კილოგრამით აღემატება 1972 წლის პირველ ნახევარში მიღებულს.

1972 წელს ერთი ცენტნერი რძის თვითღირებულება შეადგენს 20,4 მანეთს გეგმით გათვალისწინებული 21,5 მანეთის ნაცვლად, ხორცისა — შესაბამისად 141 და 161,5 მანეთს. პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და შენახვის გაუმჯობესების, აგრეთვე პროდუქტიულობის გადიდებისა და საკვების თვითღირებულების შემცირების გზით ვალდებულებას ვკისრულობთ 1973 წელს ცენტნერი რძის თვითღირებულება შევამციროთ 19,2 მანეთამდე და ხორცისა — 135 მანეთამდე. მეცხოველეობისაგან ჩვენი კოლმეურნეობა მიიღებს 73 ათას მანეთ მოგებას. 1973 წელს კი ვალდებულებას ვკისრულობთ ეს მაჩვენებელი გავზარდოთ 90 ათას მანეთამდე. კოლმეურნეობის რენტაბელობა 1972 წელს შეადგენს 38 პროცენტს, 1973 წელს მიაღწევს 40 პროცენტს.

ჩაგვიბარა რა მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, არ დავიშურებთ ძალღონეს, რათა პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ჩვენი რაიონის სოფელ დილისკის კოლმეურნეობას.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია კოლმეურნეთა საერთო კრებაზე

დუშეთის რაიონის სოფელ ფასანაურის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეთა სოციალისტური ვალდებულებანი

ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებას „1972-1973 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამოის შესახებ". ეს დოკუმენტი მიღებულია ჩვენთვის, მეცხვარეებისათვის უაღრესად პასუხსაგებ დროს, როცა დაიწყო ცხვრის გამოზამთრება ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრებზე, ჩვენ უსაზღვროდ გვახარებს, რომ პარტია და მთავრობა ესოდენ დიდ ყურადღებას გვითმობენ ჩვენ, სოფლის მშრომელებს.

კარგი გუნებაგანწყობილებით, ვალმოსდილი ეგებებიან ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. აი ზოგიერთი ციფრი, რომლებიც ახასიათებს ამ ბოლო დროს ჩვენს მეურნეობას.

გასული წლის მეოთხე კვარტალში სახელმწიფოს მივყიდეთ 381 ცენტნერი ხორცი. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ვაწარმოეთ 720 ცენტნერი ხორცი, 121,6 ცენტნერი მატყლი, სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მივყიდეთ 35 ცენტნერი ხორცი და 22 ცენტნერი მატყლი. ეს ციფრები ბევრად აღემატება ვალდებულებას. ასეთ წარმატებას მივაღწიეთ უაღრესად რთულ ამინდის პირობებში, რომელიც წინა ზამთარს იყო სამომთაბარეო საძოვრებზე.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებას ვუპასუხებთ კონკრეტული საქმეებით. ჩავებით რა მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვკისრულობთ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში სახელმწიფოს მივყიდეთ 385 ცენტნერ ხორცს, წლის განმავლობაში ასი ცხვრიდან მივიღეთ 92 ბატკანს, 1973 წლის 1 იანვრისათვის გვყოლიდა 11.800 სული ფერილფეხა რქიანი პირუტყვი გეგმით გათვალისწინებული 11.650 სულის ნაცვლად.

1973 წლის პირველ ნახევარში ვაწარმოებთ 490 ცენტნერ ხორცს გეგმით გათვალისწინებული 432 ცენტნერის ნაცვლად, 136 ცენტნერ მატყლს გეგმით გათვალისწინებული 135 ცენტნერის ნაცვლად, მივყიდით სახელმწიფოს 59 ცენტნერ ხორცს, 150 ცენტნერ მატყლს, ცხვრისა და თხის სულადობას გავადიდებთ 15.850-მდე, წლის განმავლობაში ასი ნერბიდან მივიღებთ 94 ბატკანს.

ცალკეულმა მოწინავე კოლმეურნეებმა იკისრეს უფრო მაღალი ვალდებულებანი, მაგალითად, მწყემსმა ვლადიმერ აფილურმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ერთ ცხვარზე მატყლის წლიური ნაბარსი გაადიდოს საშუალოდ 2,9 კილოგრამამდე, ხოლო 1973 წლის პირველ ნახევარში — 1.7 კილოგრამამდე, რაც სამასი გრამით მეტია, ვიდრე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იყო.

ჩინებულად გვაქვს შეგნებული, რომ ამ მიზნების მიღწევას დასჭირდება დიდი მეცადინეობა, მაგრამ ჩვენს მეურნეობას შესაძლებლობანი აქვს, საკმარისად გვაქვს მომზადებული უნები, წვნიანი საკვები, მომარაგებული გვაქვს კონცენტრატები.

ენთუზიაზმი, რომელიც ახლა ყველა ფერმასა და ბრიგადაში სუფევს, რწმენას გვინერგავს, რომ ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად შევასრულებთ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ დუშეთის რაიონის სოფელ გუდამაყრის კოლმეურნეობას.

სოციალისტური ვალდებულებანი მიღებულია კოლმეურნეობის წარმომადგენელთა კრებაზე

უმაღლესი ჯილდო აღგვაფრთოვანებს

7 დეკემბერი მუდამ მოსაგონარი ექნება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალათასიან კოლექტივს. ინკენერთა კადრების სამჭედლის მესაჭეს მოავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, სტუდენტებისა და ინსტიტუტის მუშაკების დღეანდელი სხვენო მიტინგი, რომელიც გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა **რ. ნაცვლიშვილმა.**

— 50 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოამზადა ნახევარ საუკუნეში საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, — თქვა თავის სიტყვაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა **ი. ბუაჩიძემ.**

მაღალი ჯილდო აღგვაფრთოვანებს ჩვენ, აღგვაკვლებს სიამაყით მშობლიური ინსტიტუტისათვის, გვავალებს კიდევ უფრო უკეთ ვიმშრომოთ, — თქვა დასასრულს **ი. ბუაჩიძემ.**

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასალათა გამძლეობის კათედრის გამგე, პროფესორი **ა. კაკუშაძე,** მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კათედრის გამგე, პროფესორი **ვ. გაგოიძე,** პროფესორი **ვ. სლავინსკი,** ლენინური სტიპენდიანტი **ლ. გრძელიძე,** ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის ასპირანტი ბრნალი **ნ. ზდენეკი,** ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი **ე. ჩხიკვაძე.**

მიტინგზე მიიღეს ინსტიტუტის კოლექტივის მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. მიღებულია აგრეთვე მისალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი.

(საინფორმი).

მოკავშირე რესპუბლიკების თანამშრომლებში

საბჭოთა რუსეთის

სსრკ 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს გული

შრომითი დიალოგი: მოსკოვი-ლენინგრადი

ორი ქალაქის შეჯიბრება

რუსეთში ჩვიდმეტი წლის ზამთარია. სულ ორი თვე გავიდა „ავრორას". ზალბის შემდეგ, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი კი უკვე წერს სტრიქონებს, რომლებიც თავისი ძალით მიწის მილიონი წლის სისქეში ამოხეთქილ წყაროს უტოლდება: „სპეციალისტ, რომ თითოეული „კოვუნა" — ყოველი ფაბრიკა, ყოველი სოფელი, ყოველი საბომბარდეალო საზოგადოება, მოამზადოს ყოველი კომიტეტი — გამოვიდნენ და შეეჯიბრონ ერთმანეთს, როგორც შრომისა და პროდუქტების განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის პრაქტიკული ორგანიზატორები". გავიდა რამდენიმე წელი, და ილიჩის გენიალური გამჭრიახობა (უკვე მერამდენედ!) განცვიფრებს მსოფლიოს. ახლა ვ. ი. ლენინის სტატიას „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?", რომლის სტრიქონები მოყვანილია ზემოთ, ყველა იცნობს. 43 წლის წინათ „პრავდაში" პირველად გამოქვეყნებულმა სტატიამ შეძრა ქვეყანა, წარმოშვა ენთუზიაზმის მძლავრი ტალღა. პარტიის მოწოდებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ მოსკოვის ქარხანა „კრასნი ბოგატირი" და ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცი".

1929 წლის თებერვალში „პრავდამ" სათაურით „შეჯიბრება დაიწყო" დაბეჭდა მოსკოვის ქარხანა „კრასნი ბოგატირის" ექვსი მუშის წერილი რედაქციის კომენტარით. ბოლშევიკური გაზეთის ფურცლებიდან გაისმა აღმფრთოვანებელი მოწოდება — დაიწყოთ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

მალე „პრავდაში" გამოქვეყნდა ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცის" კოლექტივის წერილი, რომელმაც მოიწოდა — გაეშალათ შეჯიბრება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. შემომკრელთა ბრიგადამ — სამმა კომუნისტმა, სამმა კომკავშირელმა, ორმა უპარტიომ, — რომელსაც ხელმძღვანელობდა მახვილ პუტინი, დადო ასეთი ხელშეკრულება. და დღეს ამას მოგვაგონებს მემორიალური დაფა ქარხნის შესახვლელთან. მასზე წარწერილია: „1929 წლის 15 მარტს ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცში" განხორციელდა ვ. ი. ლენინის იდეა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ".

ახლა, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის წინ, დედაქალაქისა და ლენინის ქალაქის მშრომელთა ტრადიციულ შეჯიბრებას უმაღალითო გაქანება მიეცა. შრომითი „დიალოგი" გამართული აქვთ ერთმანეთს შორის „კრასნი ბოგატირსა" და „კრასნი ტრიუგოლნიკს", ლიხაჩოვის სახელობის ქარხანასა და სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხანას, ათობით სხვა საწარმოს.

საკვლევი მკითხველებს სთავაზობს მოსკოვისა და ლენინგრადის შრომითი გადაძახილს, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ჩვენი კორესპონდენტების თხოვნით გვიამბობენ:

ლ. გრეკოვი,

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი

მოსკოვის მშრომელები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას ეწევიან სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსორციელებისათვის. ჩვენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მიმდინარე ხუთწლედში. წარმოების მოცულობა უნდა გაიზარდოს 34,1 პროცენტით, მშენებლობის მოცულობა კი ერთ-ნახევარჯერ წინა ხუთწლედთან შედარებით. მთელი მატება უნდა უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. უნდა ავითვისოთ 15 მილიარდი მანეთი კაპიტალური დაბანდება, რაც ასაგებია ქალაქის მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქციისათვის. უნდა აშენდეს 6 მილიონ 700 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი-საყოფაცხოვრებო ფართობი — თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე მერვე ხუთწლედში. გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეთ 18 მილიონ 600 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მეტროს 27 კილომეტრი ახალი ხაზები, მწყობრში ჩავაყენოთ სავაგონო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბევრი ობიექტი.

მოსკოველმა მშრომელებმა იკისრეს დიდი, დაძაბული ვალდებულებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია შესრულდეს საბრძოლო წარმოების მოცულობისა და მეტი წილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამომშვების დავალება ხუთწლედის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე, მეორე წლის გეგმა შესრულდეს არაუგვიანეს 25 დეკემბრისა.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანების გადაწყვეტასთან.

მასობრივად გავრცელდა ამ ბოლო ხანს წარმოშობილი მოწინავე კოლექტივებისა და წარმოების ნოვატორების ახალი პატრიოტული თაოსნობანი. ქარხნების „დინამოს", „ბორეცის", „კუიბიშევის სახელობის ელექტრქარხნის, „ალინინის სახელობის ტუმბოების ქარხნისა და დედაქალაქის სხვა საწარმოთა მუშების თაოსნობით გაიშალა შეჯიბრება 1974 წელს ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილი შრომის ნაყოფიერების დონის მიღწევისათვის. სულ უფრო მეტი თანამიმდევრები ჰყავს კომბინატ „კრასნაია როზას" კოლექტივს, სადაც მიმდინარეობს შეჯიბრება თვითეული მუშაის მიერ მოწყობილობის მომსახურების ზონის გაფართოებისათვის. სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივებში გავრცელდა ნიკოლოზ ზლობინის ბრიგადის თაოსნობა საბრიგადო სამეურნეო ანგარიშის მეთოდის დანერგვისათვის.

ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის, მოსკოვის სასარისხებელი დეპოს მუშაკები დედაქალაქის სხვა მოწინავე კოლექტივებთან ერთად გამოვიდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 102 წლისთავისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი კომუნისტური შაბათობის მოწყობის ინიციატორებად. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა მთელმა მშრომელმა მოსკოვმა. 15 აპრილს გამართული კომუნისტური შაბათობა გახდა შრომის ნამდვილი დღესასწაული, რომელიც აღინიშნა დიდი მიღწევებით დედაქალაქის სასაღსო მეურნეობის ყველა დარგში.

მოსკოვში მტკიცედ ხორციელდება მრეწველობის ყველა ძირითადი დარგის რეკონსტრუქციისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის სამუშაოთა ფართო პროგრამა. ამ პროგრამის მთლიანად განხორციელება საშუალებას მოგვცემს მუშათა რიცხვის გაუდიდებლად 2-3-ჯერ გავზარდოთ პროდუქციის გამოშვების მოცულობა.

დაძაბულად შრომობენ მოსკოველი მშენებლები, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეული შესახვედრისათვის. დამთავრდა კურსკის ვაგზლის რეკონსტრუქცია. აშენდა სატრანსპორტო გვირაბი ვოლოკოლამსკის გზატკეცილზე მოსკოვის სახელობის არხის ქვეშ. დაიწყო ნოვოკუზნეცკის პროსპექტის მშენებლობა, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალი გახდება. მიმდინარეობს დიმიტროვის ქუჩის, ბევრი ბულვარის, სკვერის, მოედნის რეკონსტრუქცია. წლის დამლევისათვის მწყობრში ჩადგება ედანოვსკ-კრასნაია პრესნიას დიამტრის მეტროს ახალი უბანი სადგურ ბარიკადნაიდან ოქტომბრის მინდვრამდე.

ქალაქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამოშვების ათი თვის საგეგმო დავალებანი. წარმოების მოცულობის მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

საუკეთესო შედეგებს მუშაობაში მიაღწიეს ქარხნების „კრასნი ოქტიაბრის", „ბორეცის", ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო და სხვა ქარხნების კოლექტივებმა.

დედაქალაქის მშრომელებს კარგად ესმით, რომ მოგვიანებით, ეექვსი წლის წინათ ფირმა „სვეტლანაში" შეიმუშავეს კოლექტივის ეკონომიური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმა. ეს იყო პირველი ცდა. მან კარგი ნაყოფი გამოიღო. უკვე დღეს, მაგალითად, „სვეტლანასა" და ოპტიკურ-მექანიკურმა გაერთიანებებმა დაამყაყოფილეს თავიანთი მუშაკების მოთხოვნილებანი საბავშვო დაწესებულებებზე, დასვენების ორგანიზაციაზე, წარმატებით წყვეტენ მძიმე ხელის შრომის ლიკვიდაციის პრობლემებს. ახლა ცალკეული კოლექტივების პროგრამების რეალიზაციიდან გადავედით მთელი ადმინისტრაციული რაიონების განვითარების კომპლექსურ დაგეგმვაზე, ხოლო დღის წესრიგშია ლენინგრადის ეკონომიური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმის შექმნის პრობლემა.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი პირობაა, და ეს დამაჯერებლად დაადასტურა პრაქტიკამ, მონათესავე საწარმოთა გამსხვილება, საწარმოო და მეცნიერულ-საწარმოო გაერთიანებათა შექმნა. ახლა ლენინგრადში 72 ასეთი გაერთიანებაა. ფირმების შემადგენლობაშია 300-ზე მეტი საწარმო და 50 სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაცია. ლენინგრადის მარკიანი პროდუქციის 36 პროცენტი მოდის გაერთიანებათა წილად.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში ახალი საფეხურია წარმოების წამყვანი დარგების სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავება.

ქალაქის მთელი რიგი ქარხნების კოლექტივებმა წამოაყენეს შემსვლელი გეგმები და თავიანთ სამინისტროებს ამ ხუთწლედისათვის მნიშვნელოვნად გაადიდებინეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობათა დავალებანი. მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ფაიფურის ქარხნის მშრომელები პროდუქციას ერთ-ნახევარჯერ კი არა, არამედ ორჯერ გაზრდიან. ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს მსუბუქი მრეწველობის ფირმებმა „პერვომაისკაია ზარიამ" და „ბოლშევიჩკამ", ქარხნებმა „კრასნი ვიბორჟეცმა", „ლენინსკაია ისკრამ". ეს მიგვაჩნია მუშათა თაობების ცოცხალ კავშირად, საუკეთესო შრომითი ტრადიციების მონაცვლეობად.

ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ლენინის ქალაქის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და წარმოების ათი თვის გეგმა. მთელი მისი მატება უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

ლენინის ქალაქის მშრომელთა სოციალისტურ ვალდებულებებში ნათქვამია: სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის ვადამდე, 25 დეკემბერს, შევასრულებთ პროდუქციის რეალიზაციისა და უმნიშვნელოვანესი ნაწარმის დამზადების 1972 წლის გეგმას, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებას მრეწველობაში 30 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულებთ, შევქმნით ტექნიკის 530 ახალ ნიმუშს, გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ დიდძალ სულ სხვადასხვაგვარ პროდუქციას, ვადაზე ადრე დავამზადებთ და შემავლებს მივაწოდებთ სხვადასხვა უნიკალურ მოწყობილობას, რომლებსაც მთელიან ხუთწლედის დიდი მშენებლობანი. ეჭვი არ გვეპარება, რომ ვალდებულებებით დასახულ მიზნებს მივაღწევთ: ლენინგრადელთა სიტყვა საიმედოა.



მოსკოვი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. წინა პლანზე — მაკეტი კოსმოსური ხომალდ „ვოსტოკისა" რაკეტმზიდით.

ნ. ბრანდოსკის ფოტო (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ენერგეტიკა

ნ. მერენიშჩევი,

სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი

მეცხრე ხუთწლედში უნდა გადაეწყვიტოთ დიდი ამოცანები, შევასრულოთ მთელი რიგი კონკრეტული დავალებანი, რომლებიც დასახა ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ. ლენინგრადელები დიდ წვლილს შეიტანენ სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების შემდგომ განმტკიცებასა და ტექნიკურ აღჭურვილობაში. მარტო გაერთიანება „ელექტროსილამ" უნდა გამოუშვას ტურბოგენერატორები, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 40 მილიონი კილოვატი. მწყობრში ჩადგება ქვეყანაში უდიდესი ლენინგრადის ატომური ელექტროსადგური. ხუთწლეულის მანძილზე, მაგალითად, ენერგეტიკული მოწყობილობის გამოშვება გაიზრდება 1,6-ჯერ, კ-700 ტიპის ტრაქტორებისა — 2,2-ჯერ, პროგრამული მართვის ჩარხებისა — 7,2-ჯერ. გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გავაუმჯობესოთ მისი ასორტიმენტი და ხარისხი.

საუბილეო წლის პირველი სამი კვარტალი ადასტურებს, რომ ლენინგრადის ინდუსტრიამ განავითარა საჭირო რიტმი, თუმცა ჩვენ გვიჭირდა გადავეჭრათ რთული პრობლემები, რათა უზრუნველვყოთ სახელმწიფო დავალებათა შესრულება.

ჩვენს ქალაქში ფართოდ გავრცელდა კიროვის ქარხნის ზეინკალ-მხეხავთა ეკვანი ლებედევისა და ანატოლი კოზლოვის თაოსნობა, რომლებმაც ლენინგრადელებს მოუწოდეს გაშალონ ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში".

დიდ რეზერვებად მიგვაჩნია თანამედროვე ტექნიკის საუკეთესო ნიმუშების დონეზე უმნიშვნელოვანესი ნაწარმის შექმნისა და ათვისების ვადების შემცირება. გაერთიანებების „სვეტლანას", „ელექტროსილას" და „პოზიტრონის" კოლექტივებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს, როცა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ტექნოლოგებს, ყველა წარმოების მუშაკს მიუწოდეს მკვეთრად შეამცირონ „ჩანაფიქრ-ხორცშესხმის" სამუშაო ციკლის ვადები. ეს შეესაბამება ჩვენი დროის სულისკვეთებას, გამოხატავს მის ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას — მივაღწიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას.

მეცნიერებისა და წარმოების შეერთება ითვალისწინებს საწარმოთა ძირეულ ხელახალ აღჭურვასაც, მათს რეკონსტრუქციას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე, მართვის ავტომატიზებული სისტემების ფართო დანერგვას. ბევრი რამ უკვე გაკეთდა ამ მიმართულებით. სხვათა შორის ქალაქის ფეიერვერკმა, მუზეუმს გადასცეს უკანასკნელი შექმნილი დაზგა. ახლა მთელი ეს დარგი გადავიდა ავტომატებზე... ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი მაგალითია.

ლენინგრადელთა შემოქმედებითი ძიების ნოვატორულმა სასაათმა ამ ბოლო წლებში ხორცი შეისხა ბევრი საინტერესო და პერსპექტიული წამოწყებათ.

ნახევარსაუკუნოვანი გზის ნიშანსვეტები

დღეს, როცა რუსეთის ფედერაციის მეცნიერების მდგომარეობას ვაფასებთ, მიზანშეწონილი იქნება შეგახსენოთ ნახევარსაუკუნოვანი გზის ზოგიერთი ნიშანსვეტი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პირველ წლებში სამეცნიერო მ ო ღვაწეობა რუსეთის სფსრ ტერიტორიაზე, გარდა მოსკოვისა და ლენინგრადისა, ძირითადად მიმდინარეობდა ისეთი უნივერსიტეტების კედლებში, როგორიც იყო, მაგალითად, ყაზანის, პერმის, სარატოვის უნივერსიტეტები. მაგრამ უკვე მალე, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაში მეცნიერთა შუალო მონაწილეობის ლენინური პრინციპის განხორციელების საფუძველზე, აუცილებლად საჭირო გახდა მეცნიერების ფორპოსტების შექმნა რაიონებში, სადაც სწრაფი ეკონომიური განვითარების პროცესი იწყებოდა. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე იქმნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ფილიალები, აგრეთვე დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი. ისინი იქმნება რუსეთის თითქმის ყველა მხარეში.

დიდი მოვლენა იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების შექმნა 1957 წელს. ამ განყოფილებაში შედიდა აკადემიის ყველა სამეცნიერო დაწესებულება, რომლებიც განლაგებულნი თემატიკითა და ბირთვული ფიზიკით და დამთავრებული ისტორიითა და არქეოლოგიით.

ბევრი ეროვნების სამი ათასამდე სპეციალისტია ახლა ციმბირის განყოფილების შემადგენლობაში. ისინი ასრულებენ ფუნდამენტურ სამეცნიერო გამოკვლევებს. მეცნიერება სულ უფრო მეტად ხდება უმუალო მწარმოებელი ძალა, სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებაზე. ამიტომ ბუნებრივი პროცესია წარმოებასთან მეცნიერების კავშირის ყოველნაირად განმტკიცება და განვითარება. მაგალითად, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებამ საქმიანი კონტაქტები დაამყარა 300 მსხვილ სამრეწველო საწარმოსთან. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ჩვენმა მეცნიერებმა წარმოებაში დასერგვად გადასცეს 700-ზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან 500-მდე ათვისებულია. ბრწყინვალედ დადასტურდა მეცნიერული პროგნოზები იმის შესახებ, რომ ციმბირში ნავთობისა და გაზის უზარმაზარი მარაგია. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით მეცნიერებს, რომლებმაც შეიმუშავეს მეთოდი, რომ ჭაბურღილების მინიმალური რაოდენობის პირობებში შეგაფასოთ ნავთობისა და გაზის მარაგი ნაკლებად ათვისებულ და ძნელად მისადგომ რაიონებში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების

მოძმე რესპუბლიკების თანამეგობრობაში

მეძავრი ნაბიჯები

СССР 50

მოგონებების ერთი ფურცელი

მიხეილ ისაკოვსკი

ქებათა-ქება რუს ქალს

შენ ფუტკარივით იყავ
მშრომელი,
მზით აპურებდი მინდვრებს...
ო, მძიმე იყო ტვირთი,
რომელიც
დიაცის მხრებით ზიდე.

რწმენით ებრძოდი ცრემლებს
მარადის,
სუსხს და სიცივეს მზეთავეს,—
მარტო ხნავდი და მარტო
მარავდი,
მარტო მიხდევდი გუთანს...

იყო წვიმა და იყო ქუხილი,
იყო ზმაილი ქართა
და ყველგან იყავ, როგორც
ყოველთვის
როგორიც იყავ მარადა.

გეცვა დარდის და დუმილის
ქურქი,
გულს არ გიკლავდა შური, —
იკვებებოდა ფრონტი და ზურგი
შენგან მზეზეულ პურით.

დიახ, ეს იყო თითქოსდა
გუშინ,
შენ რომ ფარაჯებს ქსოვდი,
იმ ფარაჯებით თბებოდნენ
სუსხში
ჯარისკაცები ოდით.

მერე ებრძოდნენ როგორც
გმირები.
ცეცხლში ოლვწოდნენ
დინჯად, —
შენ რომ ადნობდი, ო, იმ
ტყვიებით
გზას უღობავდნენ მტრის ჯარს.

შენ იყავ მამა, ძმა, მეგობარი,
მუშა, სწავლული, გლეხი,
ებრძოდი, როგორც ომში
იბრძვიან
ნემსით, ნაჯახით, ხერხით...

ასე ჯიფაში ბაბალარავდი,
ხიოცხლეს სჭვრეტდი იქვით.
ფრონტზე კი ყველას სწერდი
ბარათებს,
რომ არაფერი გიჭირს.

და ჯარისკაცი შენით
ცოცხლობდა...
ფრთას კვლავ უსინჯავს
ნიავს...
შის ფიცს და სიზმარს,
ნატვრას, ოცნებას
შენი სახელი ჰქვია.

თარგმანი
ვ. ბოცხიშვილისა.

ოგბილოცავთ, მეგობრებო!

„სოვეტ გიურჯუსტანი“ 50 წლისაა

ბიბლიოთეკა

დღეს აღინიშნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოს გაზეთ „სოვეტ გიურჯუსტანის“ ნახევარი საუკუნის იუბილე, რომელიც აზერბაიჯანულ ენაზე გამოდის.

იუბილარი გაზეთის ხმა პირველად გაისმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან თერთმეტი თვის შემდეგ. გაზეთის პირველი ნომრები გამოდიოდა სახელწოდებით „ენი ფიქირი“ („ახალი აზრი“).

მთელი თავისი არსებობის მანძილზე გაზეთი, როგორც პარტიის მებრძოლი თანაშემწე, დაუცხრომლად აღაფრთოვანებდა და რაზმავდა შრომელებს საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვართა განმტკიცებისათვის, სოციალისტურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში. ცხოვრებიდან აღებული ფაქტებით „ენი ფიქირი“ პროპაგანდას უწევდა სიახლეს, ხელს უწყობდა მასების აღზრდას შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. გაზეთი ბევრ სიძნელეებს განიცდიდა, აკლდა ასოთამწყობები და პოლიგრაფიის სხვა სპეციალისტები.

1923 წლის 15 იანვრიდან „ენი ფიქირი“ გახდა ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამერიკაკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ორგანო. გაზეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს შორის, არამედ აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. იგი ფართო პროპაგანდას უწევდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და სოციალიზმის იდეებს. გაზეთი ვრცელდებოდა არა მარტო ამერიკაკავკასიაში, არამედ შუა აზიაში, თურქეთსა და ირანში.

გაზეთ „ენი ფიქირის“ პირველი რედაქტორები იყვნენ ჰასან საბრი, ბოიუკაგა ტალიბილი, მირზა დავუდ რასულსადე, რზაკულუ ნაჯაფოვი. რედაქციის თანამშრომელთა მეცადინეობის მეოხებით გაზეთი მკითხველთა შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

გაზეთი დიდ მზრუნველობას იჩენდა მუშსოფლკორთა მოძრაობის განვითარებისათვის, ორ-სამ თვეში ერთხელ ბეჭდავდა მასალებს მუშსოფლკორთა დასახმარებლად. მათი მეშვეობით გაზეთს მჭიდრო კავშირი ქონდა ამერიკაკავკასიის ყველა რაიონთან.

გაზეთი „ენი ფიქირი“ წარმართავდა ამერიკაკავკასიის აზერბაიჯანულ ენაზე გამომავალი გაზეთებისა და ჟურნალების მუშაობას, იგი გახდა ამერიკაკავკასიის აზერბაიჯანული ბეჭდვითი სიტყვის ერთგვარი მეთოდიკური ცენტრი.

ეწეოდა რა სოციალისტური მშენებლობის წარმატებების, ლენინური ინტერნაციონალიზმის პროპაგანდას, „ენი ფიქირმა“ დიდი როლი შეასრულა ამერიკაკავკასიის ფედერაციის განმტკიცებაში.

1927 წელს გაზეთი „ენი ფიქირი“ გადაკეთდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოდ და ეწოდა ახალი სახელი „ენი კენდი („ახალი სოფელი“), ხოლო 1938 წელს გამოსვლა დაიწყო ახლანდელი სახელწოდებით — „სოვეტ გიურჯუსტანი“ („საბჭოთა საქართველო“).

ხელმძღვანელობდა რა პარტიის, ვ. ი. ლენინის მითითებებით, გაზეთ „სოვეტ გიურჯუსტანის“ რედაქცია ყოველთვის ცდილობდა თავისი გამოსვლები დაეკავშირებინა ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკასთან. 50 წლის მანძილზე „სოვეტ გიურჯუსტანი“ დიდ ადგილს უთმობს პარტიული ცხოვრების გაშუქებას. რუბრიკას „პარტიული ცხოვრება“ ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავა გაზეთის ფურცლებზე.

სხვადასხვა ჟანრს იყენებენ გაზეთში მინაპარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშუქებისათვის. შემოღებულია მუდმივი რუბრიკები: „პარტიულ ორგანიზაციებში“, „პარტიული ორგანიზაციის მდივნის დასახმარებლად“, „პოლიტიკური განათლების ქსელში“, „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“ და სხვ.

ხალხთა მეგობრობა გაზეთ „სოვეტ გიურჯუსტანის“ ერთ-ერთი მთავარი თემაა. იგი წერს ხალხთა მეგობრობაზე, რომელიც დღითიდღე მტკიცდება, კომუნისტური მშენებლობის მიღწევებზე, სხვადასხვა ეროვნების მოღვაწეთა შემოქმედებითს ურთიერთობაზე. გაზეთი მკითხველთა მეხსიერებაში აცოცხლებს ამ დიდი მეგობრობის ჩასახვისა და განვითარების ისტორიის ცალკეულ ფურცლებს, ყურადღებას მიაქცევს სოციალისტური წყობილების უდიდეს მონაპოვარს — დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობას.

საბჭოთა ხალხების მეგობრობამ, რომელიც ლენინის პარტიამ გამოაწრთო ნათელი მომავლისათვის მშრომელთა ერთობლივ ბრძოლაში, შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ყველა სოციალისტური ერების ხალხები და ეროვნებანი ერთ დიდ ოჯახად. აი რატომ არის, რომ თვითეული საბჭოთა ხალხის ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხი. საბჭოთა აზერბაიჯანის, საბჭოთა სომხეთისა და საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის იუბილეს საზეიმო ვითარებაში იდღესასწაულეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. საბჭოთა აზერბაიჯანის ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი — ფართოდ აღინიშნა ჩვენშიც, საქართველოში. იუბილეს წინ გაზეთმა „სოვეტ გიურჯუსტანმა“ გამოაქვეყნა ბევრი საინტერესო მასალა აზერბაიჯანის შესახებ.

„სოვეტ გიურჯუსტანი“, ისე როგორც ყველა ბეჭდვითი ორგანო, მტკიცედ ეყრდნობა დიდ შტატგარეშე აქტივს. მუშკორები და სოფლკორები საბჭოთა პრესის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ გაზეთის ნომრები გამოდიოდა სახელწოდებით „ენი ფიქირი“ („ახალი აზრი“).

მთელი თავისი არსებობის მანძილზე გაზეთი, როგორც პარტიის მებრძოლი თანაშემწე, დაუცხრომლად აღაფრთოვანებდა და რაზმავდა მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვართა განმტკიცებისათვის, სოციალისტურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში. ცხოვრებიდან აღებული ფაქტებით „ენი ფიქირი“ პროპაგანდას უწევდა სიახლეს, ხელს უწყობდა მასების აღზრდას შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. გაზეთი ბევრ სიძნელეებს განიცდიდა, აკლდა ასოთამწყობები და პოლიგრაფიის სხვა სპეციალისტები.

1923 წლის 15 იანვრიდან „ენი ფიქირი“ გახდა ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამერიკაკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ორგანო. გაზეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს შორის, არამედ აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. იგი ფართო პროპაგანდას უწევდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და სოციალიზმის იდეებს. გაზეთი ვრცელდებოდა არა მარტო ამერიკაკავკასიაში, არამედ შუა აზიაში, თურქეთსა და ირანში.

გაზეთ „ენი ფიქირის“ პირველი რედაქტორები იყვნენ ჰასან საბრი, ბოიუკაგა ტალიბილი, მირზა დავუდ რასულსადე, რზაკულუ ნაჯაფოვი. რედაქციის თანამშრომელთა მეცადინეობის მეოხებით გაზეთი მკითხველთა შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

გაზეთი დიდ მზრუნველობას იჩენდა მუშსოფლკორთა მოძრაობის განვითარებისათვის, ორ-სამ თვეში ერთხელ ბეჭდავდა მასალებს მუშსოფლკორთა დასახმარებლად. მათი მეშვეობით გაზეთს მჭიდრო კავშირი ქონდა ამერიკაკავკასიის ყველა რაიონთან.

გაზეთი „ენი ფიქირი“ წარმართავდა ამერიკაკავკასიის აზერბაიჯანულ ენაზე გამომავალი გაზეთებისა და ჟურნალების მუშაობას, იგი გახდა ამერიკაკავკასიის აზერბაიჯანული ბეჭდვითი სიტყვის ერთგვარი მეთოდიკური ცენტრი.

ეწეოდა რა სოციალისტური მშენებლობის წარმატებების, ლენინური ინტერნაციონალიზმის პროპაგანდას, „ენი ფიქირმა“ დიდი როლი შეასრულა ამერიკაკავკასიის ფედერაციის განმტკიცებაში.

1927 წელს გაზეთი „ენი ფიქირი“ გადაკეთდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოდ და ეწოდა ახალი სახელი „ენი კენდი („ახალი სოფელი“), ხოლო 1938 წელს გამოსვლა დაიწყო ახლანდელი სახელწოდებით — „სოვეტ გიურჯუსტანი“ („საბჭოთა საქართველო“).

ხელმძღვანელობდა რა პარტიის, ვ. ი. ლენინის მითითებებით, გაზეთ „სოვეტ გიურჯუსტანის“ რედაქცია ყოველთვის ცდილობდა თავისი გამოსვლები დაეკავშირებინა ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკასთან. 50 წლის მანძილზე „სოვეტ გიურჯუსტანი“ დიდ ადგილს უთმობს პარტიული ცხოვრების გაშუქებას. რუბრიკას „პარტიული ცხოვრება“ ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავა გაზეთის ფურცლებზე.

სხვადასხვა ჟანრს იყენებენ გაზეთში მინაპარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშუქებისათვის. შემოღებულია მუდმივი რუბრიკები: „პარტიულ ორგანიზაციებში“, „პარტიული ორგანიზაციის მდივნის დასახმარებლად“, „პოლიტიკური განათლების ქსელში“, „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“ და სხვ.

ხალხთა მეგობრობა გაზეთ „სოვეტ გიურჯუსტანის“ ერთ-ერთი მთავარი თემაა. იგი წერს ხალხთა მეგობრობაზე, რომელიც დღითიდღე მტკიცდება, კომუნისტური მშენებლობის მიღწევებზე, სხვადასხვა ეროვნების მოღვაწეთა შემოქმედებითს ურთიერთობაზე. გაზეთი მკითხველთა მეხსიერებაში აცოცხლებს ამ დიდი მეგობრობის ჩასახვისა და განვითარების ისტორიის ცალკეულ ფურცლებს, ყურადღებას მიაქცევს სოციალისტური წყობილების უდიდეს მონაპოვარს — დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობას.

საბჭოთა ხალხების მეგობრობამ, რომელიც ლენინის პარტიამ გამოაწრთო ნათელი მომავლისათვის მშრომელთა ერთობლივ ბრძოლაში, შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ყველა სოციალისტური ერების ხალხები და ეროვნებანი ერთ დიდ ოჯახად. აი რატომ არის, რომ თვითეული საბჭოთა ხალხის ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხი. საბჭოთა აზერბაიჯანის, საბჭოთა სომხეთისა და საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის იუბილეს საზეიმო ვითარებაში იდღესასწაულეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. საბჭოთა აზერბაიჯანის ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი — ფართოდ აღინიშნა ჩვენშიც, საქართველოში. იუბილეს წინ გაზეთმა „სოვეტ გიურჯუსტანმა“ გამოაქვეყნა ბევრი საინტერესო მასალა აზერბაიჯანის შესახებ.

„სოვეტ გიურჯუსტანი“, ისე როგორც ყველა ბეჭდვითი ორგანო, მტკიცედ ეყრდნობა დიდ შტატგარეშე აქტივს. მუშკორები და სოფლკორები საბჭოთა პრესის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ გაზეთის ნომრებში

მსოფლიო დღეს

ინდოჩინეთის ფრონტებზე

პარიზი. 7 დეკემბერი. (საკლესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფები, რომლებიც მტკიცედ ინარჩუნებენ საბრძოლო ინიციატივას, კვლავ უტევენ მოწინააღმდეგის ჯარებს ყველა სექტორში. მარტო გუშინ პატრიოტებმა 80-ჯერ შეუტიეს მარიონეტული ჯარების პოზიციებს.

დღეს პატრიოტებმა რაკეტებისა და არტილერიის ძლიერი ცეცხლი დაუშინეს ტანშონიატის უდიდეს ავიაბაზას, რომელიც რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქიდან. ამ ბაზაში განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების მე-7 სამხედრო-საჰაერო არმიის შტაბი. აქედან „ხელმძღვანელობენ“ ინდოჩინეთის ხალხების წინააღმდეგ საჰაერო ომს, განთავისუფლების ძალების ეს შეტევა ერთ საათზე მეტხანს გრძელდებოდა, რის შედეგადაც დაიხოცა და დაიჭრა დაახლოებით 50 ამერიკელი და სამხრეთვიეტნამელი სამხედრო მოსამსახურე, დაზიანდა რამდენიმე თვითმფრინავი და ვერტმფრინავი, აფეთქდა საწვავისა და ტყვია-წამლის საწყობები.

რამდენიმე რაკეტა აფეთქდა იმ შენობის ახლოს, სადაც მოთავსებულია საიგონის ჯარების გენერალური შტაბი. დედაქალაქში შემოღებულია საგანგებო წესები. ქუჩებს პატრულობენ სამხედროებისა და პოლიციის რაზმები.

„ოსტაფური საბჭოთა დიპლომატია“

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ სტატია

ნიუ-იორკი. 7 დეკემბერი. (საკლესი). „თუ თვალს გადავავლებთ განვლილი ათწლეულის საერთაშორისო ამბებს, ძნელია არ დავახასიათოთ, რომ საბჭოთა პოლიტიკას თავის ანგარიშზე აქვს მნიშვნელოვანი წარმატებები. ახლა ამ წარმატებებს განამტკიცებენ მრავალმხრივი თათბირები, ამასთან ჰელსინკის მოლაპარაკება ევროპის უშიშროების საკითხებზე მხოლოდ პირველია მათ შორის“, — წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი სულცბერგერი.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის წინაშე არაერთხელ წამოჭრილა რთული საგარეო-პოლიტიკური პრობლემები, და ხაზს უსვამს, ეს პრობლემები წარმატებით გადაჭრა „ლეონიდ ბრეჟნევის ოსტატურმა დიპლომატიამ“.

სულცბერგერი მოაგონებს მკითხველს, რომ ევროპის უშიშროების საკითხებზე თათბირის მოწვევის იდეა საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, და აღნიშნავს, რომ „მოსკოვისათვის დადგა განსაკუთრებით ხელსაყრელი მომენტი, როცა ჰელსინკში დაიწყო წინასწარი კონსულტაციები ევროპის უშიშროების საკითხებზე თათბირის მოწვევის შესახებ“.

„ჰელსინკის თათბირის შემდეგ გაიმართება მოლაპარაკება ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. საბჭოთა კავშირის პოზიცია შესაბამისად გაუმჯობესდა, რამდენადაც ეს უმნიშვნელოვანესი მოლაპარაკება გარდუვალი გახდა“. „შეიროპის უშიშროების საკითხს, — აღნიშნავს მიმომხილველი, — ისევ ადენაუერი ამბობს ხოლმე, — ისევ ადენაუერი ამბობს ხოლმე, — ისევ ადენაუერი ამბობს ხოლმე“.

ავტორი ეწინააღმდეგებოდა ასეთ იდეას“, კანცლერ ბრანდტის გამარჯვებას დასავლეთ გერმანიის არჩევნებში ისეთი საალმოსავლეთო პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც ცნობდა ორი გერმანიის არსებობას, ახლა ყველგან ფართოდ მიიჩნევენ. და მაინც იგი აშკარად ხელს აძლევდა მოსკოვს რამდენადაც აკანონებდა ახლანდელ ფაქტიურ მდგომარეობას ევროპაში. წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

სტატიის ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ „საბჭოთა სამხედრო ფლოტი ახლა მეორეა თავისი მნიშვნელობით მსოფლიოში. საბჭოთა არმიას ჩვეულებრივი შეიარაღების მხრივ ბადალი არა ჰყავს. საბჭოთა რაკეტულ-ატომური ძალები ამერიკისას უდრის, და ეს პარიტეტი, ალბათ, დამკვიდრდება სტრატეგიული შეიარაღების შესწავლის შესახებ მოლაპარაკების დროს“.

მხარი დაუჭირა რა 1971 წელს ბანგლადეშის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, მოსკოვმა დიდ გავლენას მიაღწია ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, განაგრძობს გაზეთი.

ეხება რა ეკონომიურ ურთიერთობას, სულცბერგერი აღნიშნავს, რომ საბჭოთა დიპლომატიამ „მიაღწია ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, იაპონიასა და დასავლეთ ევროპასთან“.

მოსკოვის კონტაქტებს ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არიან საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია და ამერიკა, სრული მოწონებით ხვდებიან დასავლეთში. მან განხეთქილება შეიტანა ნატოს შონის პოლიტიკურ ერთიანობაში. არსებობს მეტოქეობა საბჭოთა ბაზარზე ხელსაყრელი პოზიციების მოპოვებისათვის.

მოსკოვმა, დასასვენის სტატიის ავტორი, განმტკიცა მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი დედაქალაქის მდგომარეობა. „შეგიძლია ჰრქმელს მივუოლოთ მოთმინებითი ოსტატური დიპლომატიის წარმატება, — ხაზს უსვამს სულცბერგერი.

ფოტოობიექტივშია ჩილე

პრეზიდენტი ს. ალიენდე გამოვიდა „დესკოს“ ხამშენებელი ფირმის მუშათა მიტინგზე. ამ ფირმის მფლობელები, მწარმოთა და ტრანსპორტის მფლობელთა აირანონიერი „გაფიცვის“ შეწყვეტის შემდეგ შეეცადნენ გაეუქმებინათ კონტრაქტები იმ მუშებთან და მოსამსახურეებთან, რომლებმაც „გაფიცვის“ დროს არ შეწყვიტეს მუშაობა და მხარი დაუჭირეს ხახალხო ერთიანობის მთავრობას. პრეზიდენტმა ს. ალიენდემ აღნიშნა, რომ მთავრობა არ დაუშვებს „დესკოს“ მუშების დათხოვნას და მოუთითა, რომ თუ ფირმის მფლობელები კვლავ გააგრძელებენ ანტიპატრიოტულ მოქმედებას, ფირმა რეკვიზიციზირებული იქნება და სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარება.

სურათზე: მიტინგის დროს.

პრესა ლატინა — ხაკლესის ფოტო.



ვრანსპორტი ჩილეს დედაქალაქის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. მისი გადაწყვეტისათვის ხახალხო ერთიანობის მთავრობა მრავალ ღონისძიებას ხახავს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ახალი მეტროს მშენებლობა, რომელსაც დიდი უურადღება ეთმობა.

სურათზე: სანტ-იაგოს შეტროს მშენებლობის ერთ-ერთ უბანზე.

ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

„აპოლო-17“ მთვარისაკენ მიფრინავს

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკლესი). დღეს დაახლოებით დილის 8 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით კენედის კოსმოსიდან (ფლორიდის შტატი) „სატურნ-5“ მატარებელი რაკეტის საშუალებით გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „აპოლო-17“, რომელშიც არიან კოსმონავტები იუჯინ სერნანი, რონალდ ევანსი და ჰარისონ შმიტი. ტექნიკური უწესივრობის გამო ხომალდის სტარტი გადაიდო 2 საათით და 40 წუთით.

დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გავლილან სამ საათზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ ხომალდი მატარებელი რაკეტის ძირავის განმეორებითი ჩართვით გაიყვანეს მთვარისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე. შემდეგ ძირითადი ბლოკი მთვარის კაბინასთან ერთად გამოიყო მატარებელი რაკეტის მესამე საფეხურს.

გეგმაკენ, რომ 11 დეკემბერს მთვარის კაბინა დაჯდება მთვარის ზედაპირზე. კაბინაში იქნებიან სერნანი და შმიტი, ხოლო ევანსი დარჩება ძირითად ბლოკში მთვარისირგვლივ ორბიტაზე. დაჯდომის რაიონში ხეობა, რომელიც მდებარეობს ტავრის მთებსა და ლიტროვის კრატერს სამხრეთით მთვარის ხილული მხარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მნიშვნელოვან მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს. მოელიან, რომ იქ შეიძლება აღმოჩნდეს მთვარის როგორც უძველესი, ისე ახალგაზრდა ქანების ნიმუშები.

იუჯინ სერნანმა და ჰარისონ შმიტმა, ფრენის პროგრამის თანახმად, მთვარიზე უნდა დაჰყონ 75 საათს, სამჯერ უნდა გაიცდენენ მის ზედაპირზე, ამასთან თვითეული გასვლა დაახლოებით 7 საათს უნდა გაგრძელდეს. ისინი გამოიკვლევენ გარშემო მდებარე ლანდშაფტს, ამასთან იკლიან „მთვარის ყველგანმავლობით“ — ისეთივე ავტომობილით, როგორსაც იყენებდნენ აპოლონ ხომალდების ორი უწინდელი გაფრენის დროს. სულ კოსმონავტებმა მთვარის ზედაპირზე ყველგანმავლობით უნდა გაიარონ დაახლოებით 37 კილომეტრი.

მთვარის ზედაპირზე კვლევის პროგრამაშია მთვარის ქანების ნიმუშების შეგროვება, რომლებიც როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ამ რაიონში შეიძლება იყოს 4,6 მილიარდამდე წლის ასაკისა. მოელიან აგრეთვე, რომ ხეობაში, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, დაფარულია ვულკანური ქანებით, შეიძლება აღმოჩნდეს ნიმუშები, რომელთა ასაკი შეადგენს 100 მილიონ წელს — მთვარისათვის ასეთი ქანები „ახალგაზრდაა“.

პროგრამის თანახმად, „აპოლონ-17“ დედამიწაზე უნდა დაბრუნდეს 19 დეკემბერს.

ხომალდის მეთაური იუჯინ სერნანი უკვე მონაწილეობდა კოსმოსურ ფრენაში. იგი იყო პილოტი „ჯემინი-9“ ხომალდისა, რომელმაც დედამიწის გარშემო იფრინა 1966 წელს, და შედიოდა „აპოლონ-10“ ხომალდის ეკიპაჟში, რომელმაც 1969 წელს შემოფრინა მთვარეს. იგი 38 წლისაა, სამხედრო-საზღვაო ჯარების 1-ლი რანგის კაპიტანია.

შმიტისა და ევანსისათვის „აპოლონ-17“ ხომალდით ფრენა პირველი მოგზაურობაა კოსმოსში. 37 წლის ჰარისონ შმიტი მეცნიერი გეოლოგია; 39 წლის რონალდ ევანსი სამხედრო-საზღვაო ძალების მე-2 რანგის კაპიტანია.

„აპოლონ-17“ ხომალდის გაფრენა უკანასკნელი ექსპედიციაა მთვარეზე, რომელიც „აპოლონის“ პროგრამით ხორციელდება.

ახალი გადასასადი

ლონდონი. 7 დეკემბერი. (საკლესი). კონსერვატორთა პარტიამ პარლამენტს მიაღებინა კიდევ ერთი ღონისძიება, რომელიც აქვეითებს ინგლისელ მშრომელთა ცხოვრების დონეს.

31 ხმის უმრავლესობით (286 ხმა 255 ხმის წინააღმდეგ) თემთა პალატამ გუშინ საღამოს უარყო ლეიბორისტული ოპოზიციის წინადადება, რომ 12 თვით გადაიდოს ნამატი ღირებულების გადასახადის შემოღება, რომელმაც 1973 წლის 1 აპრილიდან უნდა შეეცვალოს ამჟამად არსებული საქონლის გაყიდვის გადასახადი.

ახალი გადასახადი საშუალოდ 10 პროცენტით გაადიდებს ფასებს ქვეყანაში. იგი გავრცელდება მთელ რიგ საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებიც წინათ თავისუფალი იყვნენ დაბეგვრისაგან, კერძოდ, გავრცელდება ბავშვის ტანსაცმელზე, სანანობით ლონისძიებათა ბილეთებზე, კაფე-სასადილოებში სადილობაზე და სხვ.

ნამატი ღირებულების გადასახადის შემოღება მიიჩნია აპირებს შესვლის საერთო ბაზარში და შეუერთდება იქ არსებულ საგადასახადო სისტემას.

ლეიბორისტული ოპოზიციის სახელით კამათში გამოსულმა დენის-ჰილიმ ბაზისამთან აღნიშნა, რომ ნამატი ღირებულების გადასახადი, როგორც ეს საერთო ბაზრის წევრი დასავლეთევროპული ქვეყნების გამოცდილებამ ცხადყო, კიდევ უფრო გააძვირებს ცხოვრებას ინგლისში და ამის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდებიან მოსახლეობის უღარიბესი ფენები.

ლმობიერი განაჩენი

ბონი. 7 დეკემბერი. (საკლესი). ჰრანსბერგში დამთავრდა ხუთი ნაციისტი დამნაშავის სასამართლო პროცესი. მათ ბრალად ედებათ ხელშეწყობა დაახლოებით 5 ათასი პოლონელი მოქალაქის დახოცვაში. მაგრამ სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია ფაშისტი ჯალათებისათვის მიესაჯა მხოლოდ 2-დან ხუთ წლიწადნახევარი პატიმრობა.

ინდოეთ-პაკისტანის ომი

ეს ბრწყინვალე დაგვირგვინებაა დიდმნიშვნელოვანი საბჭოთა ინიციატივისა, რომელსაც მხარი დაუჭირა ყველა ქვეყანამ, რომელთათვის ნამდვილად ძვირფასია მშვიდობა, წერს თავის კომენტარში გაზეთი „ნაროდნა არმია“. გაზეთი აღნიშნავს, რომ რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ — პორტუგალიამ, საბრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ალბანეთმა, და ხაზს უსვამს, რომ ჩინეთი, რომელიც ამ ბოლო დროს იჩემებს რევოლუციურობის მატარებლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის როლს, შედის ყველაზე რეაქციული რეჟიმების კოალიციაში.

უღანაურია, წერს გაზეთი, რომ ჩინეთი თავისი მრავალმილიონიანი მოსახლეობით, არაერთხელ რომ გამხდარა იმპერიალისტური აგრესიის ობიექტი, ახლა ილაშქრებს იმ დოკუმენტის წინააღმდეგ, რომელიც უზრუნველყოფს ამ ქვეყნის სუვერენიტეტსა და უშიშროებას. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ გარკვეულ პირობებში თავისი პოლიტიკური უპირატესობა ისადმი ერთგული პეკინის ხელმძღვანელობა უყოყმანოდ უერთდება ყველაზე რეაქციულ და აგრესიულ ძალებს.

პეკინის მოქმედება გვიჩვენებს, თუ რა ფასი აქვს მის გადწყვეტილ მტკიცებას „ჩრდილოეთის“ მუქარის შესახებ. სწორედ ის ქვეყანა, რომელიც, ჩინეთის ხელმძღვანელთა თქმით, თითქოს „იმუქრება“ ჩინეთს, გამოვიდა ინიციატივით და მიაღებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობას და ატომური იარაღის გამოყენების სამუდამოდ აკრძალვას.

მართლაც რომ არსებობდეს „ჩრდილოეთის“ მუქარა, მაშინ ჩინეთს პირველს უნდა მიეცა ხმა დოკუმენტისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მის უშიშროებას, ნათქვამია სტატიაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უკანასკნელ სესიაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა შეეფერხებინა გენერალური ასამბლეის მუშაობა. ჩინეთის დელეგაციას არაფრით არ შეუწყვია ხელი სესიის კონსტრუქციული მუშაობისათვის. უფრო მეტიც, თუ შევაჯამებთ „ჩინეთის სტრატეგიას“ და მის შედეგებს მომდინარე წელს, შეუძლებელია არ დაეასკვნათ, რომ პეკინის მეკადინეობა მიზნად ისახავს უწინარეს ყოვლისა ყოველგვარი დაბრკოლების შექმნას განიარაღებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე, წერს დასასრულ გაზეთი.

ათასნაირი ამბები

ისევ მინამატის დაავადება

ტოკიო. კუამოტოსა და კაგონსისის პრეფექტურების კიდევ 52 მცხოვრები იმსხვერპლა ეგრეთწოდებულმა „მინამატის დაავადებამ“, რომელსაც იწვევს ორგანიზმის მოწამვლა მავნე ნივთიერებებით.

„ტისოს“ დიდი ქიმიური კომპანიის ქარხნები კარგა ხანს იაპონიის კიუსიუს კუნძულის მინამატის ყურეში ყრიდნენ ვერცხლისწყლიან შენაერთთა ნარჩენებს. ეს შხამიანი ნივთიერებანი თევზის მეშვეობით ხვდებოდა ადამიანის ორგანიზმში და ძმიმედ აზიანებდა ნერვიულ სისტემას. ავადმყოფები კარგავდნენ მეტყველებას, სმენას, მხედველობას, ერლვეოდათ მოძრაობის კოორდინაცია.

როცა 1968 წელს დამტკიცდა კავშირი „მინამატის დაავადებასა“ და ვერცხლისწყლიან შენაერთებით მოწამვლას შორის, „ტისოს“ კომპანიის წინააღმდეგ აღიძრა სასამართლო საქმე, რომელიც უკვე სამ წელიწადნახევარზე მეტია გრძელდება. ამასობაში დაავადებამ 60-ზე მეტი კაცი იმსხვერპლა. „მინამატის დაავადებით“ სულ დაავადებულია 344 კაცი.

ნავთობი იღვრება

ბონი. დასავლეთ გერმანიის ქალაქ ოლტრუპის მახლობლად, ჰოლანდიასთან საზღვრის მიდამოებში მოხდა კატასტროფა, რომელსაც პრესა უწოდებს „ნავთობის უდიდეს კატასტროფას“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში: გასაკვირველია ნავსადგურისა და რურის სამრეწველო რაიონის შემაერთებელი ნავთობსადენი. მილიონობით ლიტრი ნავთობი დაიღვარა რამდენიმე კვადრატულ კილომეტრ ფართობზე. გაჭუჭყიანებულია ზოგი მდინარისა და ტბის წყალი.

კატასტროფით გამოწვეული ზარალი მილიონობით მარკას აღწევს.

შეჯახება ჰაერში

ნიუ-იორკი. კაროლინის შტატის სანაპიროზე ღამით ერთმანეთს დაეჯახა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ორი თვითმფრინავი — „ს-130“ სატრანსპორტო თვითმფრინავი და „ფ-102“ ავიაგამანადგურებელი. 13 კაცი დაიღუპა.

გრიპის ეპიდემია

ლონდონი. ევროპეწოდებული „ინგლისური გრიპის“ ეპიდემია მოედო ბრიტანეთის კუნძულებს. მთელ რიგ ქალაქებში ადამიანთა მასობრივი დაავადების გამო დაირღვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ფოსტის, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაობა. დედაქალაქში ბევრ სკოლას დახურვის საფრთხე ემუქრება, რადგან მასწავლებლები აკლიათ.

ბულგარეთის ეროვნული თბილისში

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ცენტრალური პავილიონის შესასვლელთან ფრიალებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები. აქ გაიხსნა კვების მრეწველობის, სავაჭრო საწარმოებისა და მაცივრებისათვის განკუთვნილი ბულგარული მოწყობილობის გამოფენა. გამოფენა მოაწყო სახელმწიფო სავაჭრო საწარმო „ტექნოეექსპორტმა“ სსრ კავშირისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატების დახმარებით.

„ტექნოეექსპორტი“ ბულგარეთში ერთადერთი სპეციალიზებული საწარმოა, რომელიც საექსპორტოდ აწარმოებს კომბოლეექსურ ობიექტებს და დანადგარებს. ბულგარული მოწყობილობა იგზავნება ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 25-ზე მეტ ქვეყანაში. კერძოდ, ამ საწარმომ საბჭოთა კავშირში შემოიტანა საკონსერვო კომბინატები და ხილ-ბოსტნეულის წვენებისა და კონიეტრატების ხაზები, აგრეთვე ვაშლის დოლაბისაგან პექტინის გამომუშავებული საწარმოები.

„ტექნოეექსპორტმა“ გამოფენაზე წარმოადგინა სხვადასხვაგვარი სამაცივრო დანადგარები, რომელთაც შემკვეთის სურვილით შეიძლება შეეცვალოს სიმძლავრე. ესაა ხილისა და ბოსტნეულის, თევზის, რძისა და რძის პროდუქტების შესანახი, ხორცის ღრმადსაყინი სამაცივრო საწყობები, ყინულის ქარხნები.

„ტექნოეექსპორტის“ საექსპორტო შესაძლებლობებზე ილაპარაკა 7 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ამ სავაჭრო საწარმოს გენერალური დირექტორის მოადგილემ სტუდენტ ბაჩიისკიმ და სსრ კავშირში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელმა იორდან უზუნოვმა. პრესკონფერენციაში მონაწილეობდა რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბჭოს წევრი ა. საკურაშვილი.

ამავე დღეს გაიმართა ბულგარეთის გამოფენის ოფიციალური გახსნა. ცერემონიას დასწრო თბილისის კვების ინდუსტრიის საწარმოთა ბევრი სპეციალისტი. გამოფენის ორგანიზატორებს მიესალმნენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის წევრი გ. ახლელდიანი.

გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით „ტექნოეექსპორტის“ წარმომადგენლებმა დარბაზობა გამართეს. (საქინფორმი).

სურათზე: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პავილიონის შესასვლელთან.

ა. რუსაძისა და ა. საკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საჭაღრაკო მერიდიანებზე

ნონა და ნანა ჟულას იყოფენ

ფრენიჩჩა-ბანია. ევროპის ქალთა პირველობის მეხუთე ტურში გაფრინდაშვილ-ალეკსანდრიას პარტია ყაიმით დამთავრდა. შეჯიბრების ერთერთმა ლიდერმა ვერეციმ გადადო პარტია პისალიჩთან. პოლიჭრონიადემ მოუგო კონარკოვსკა-სოკოლოვას, ივანკამ — ვეტშტაინს, მერლინმ — ერენსკას.

5 ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა ნონა გაფრინდაშვილი, რომელსაც 4 ქულა აქვს. 3,5 ქულითა და 1 გადადებული პარტიით მეორე ადგილზეა ჟუჟა ვერეცი (უნგრეთი). 3,5 ქულა აქვთ ნანა აღექსანდრიასა და მარია ივანკას (უნგრეთი).

ბაკუ. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე დამთავრდა 13 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. თამაშის განუსაზღვრელად ზილბერშტეინი დანებდა ალბურტს. ყაიმზე შეთანხმდნენ ფურმან-გრიგორიანი და შამკოვიჩ-ლეინი. ხოლმოვმა, რომელსაც ორი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, სწრაფად მოუგო ბრონშტეინს, ბაგიროვმა დაამარცხა ფურმანი, სავონმა — ალბურტი. ჟიდკოვ-ხოლმოვი და კუზნინ-შამკოვიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ. სამ პარტიას ამთავრებდა ვასიუკოვი. მან მოუგო კაპენგუტს, დამარცხდა შამკოვიჩთან და ყაიმით დამთავრა შეხვედრა ჟიდკოვთან.

ორ პარტიას ამთავრებდა ჯინჯიხაშვილი. მან დაამარცხა რაშკოვსკი და ყაიმზე შეუთანხმდა ზილბერშტეინს. თბილისელ ოსტატს 6,5 ქულა აქვს 13 თამაშიდან, სოლო თბილისელ გროსმაისტერ გუფელდს — 5 ქულა.

13 ტურის შემდეგ კვლავ ერთპიროვნული ლიდერია ტალი, რომელსაც 9 ქულა აქვს. 8,5 ქულითა მეორე ადგილზეა გადაინაცვალა ვასიუკოვმა. 7,5 ქულა აქვთ ტუკმაკოვს, მუხინსა და რაზუვაევს.

სან-ანტონიო. საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. დამთავრდა 13 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. ღარსენის შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, პეტროსიანი ბოლომდე ზუსტად თამაშობდა და გაიმარჯვა. შემდეგ მან დაამარცხა სეიდიე და საგრძნობლად გამოისწორა თავისი სატურნირო მდგომარეობა. კერესმა ყაიმით დაამთავრა პარტია სმიტთან, ღარსენმა — სათლუნთან. ფორტიშმა და გლიგორიჩმა სძლიეს სეიდის. მეკინის შესვედრები პეტროსიანსა და კამპოს-ლოპესთან კვლავ გადაიდო.

13 ტურის შემდეგ 9,5 ქულით პირველ ადგილზეა კარპოვი. 9 ქულა აქვს პორტიშს, 8,5 ქულა — კერესსა და გლიგორიჩს, 8 ქულა და 1 გადადებული პარტია—პეტროსიანს, რვა-რვა ქულა — ღარსენსა და სათლუნს (ერთადერთ ოსტატს, რომელიც იბრძვის გროსმაისტერის წოდების მოსაპოვებლად).

პირველ ადგილზე — ე. უბილავა

დამთავრდა რესპუბლიკის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ჩემპიონატი, რომელშიც 14 მონაწილე იყო.

ტურნირი ჩინებულად წარმართა ოსტატმა ე. უბილავამ, რომელმაც შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო და 10 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 9,5 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა ოსტატობის კანდიდატი გ. ბიბილოშვილი, 9 ქულით მესამე ადგილები გაიყვეს ა. განტვარგმა და ა. სლობოდსკოიმ.

ტურნე ფუკუოკაში გრძელდება

იაპონია. ქალაქ ფუკუოკაში გაიმართა მეორე საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობენ.

ვაჟთა შორის რეკორდზე გაიმარჯვა იაპონელმა ა. ნაკაიამამ — 9,55 ქულა, ხოლო სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. ანდრიანოვი უძლიერესი იყო ბარენის ხტომებში — 9,25 ქულა.

ნორჩმა თბილისელმა ტანმოვარჯიშემ ნინო დრონოვამ დამაჯერებლად მოიგო ასპარეზობა თავისუფალ ვარჯიშში — 9,75. ამ სახეობაში მეორე ადგილზე გამოვიდა ლ. ტურიშჩევა — 9,70, მესამეზე — კ. იანცი (გდრ) — 9,50.

კ. იანცმა სამაგიეროდ გაიმარჯვა დვირზე ვარჯიშისას — 9,65. საბჭოთა გოგონები ამ იარაღზე სუსტად გამოვიდნენ: ლ. ბურდამ მერვე შედეგი აჩვენა (8,90), ნ. დრონოვამ — მეათე (8,45), ხოლო ლ. ტურიშჩევამ — მეთორმეტე (8,25).

პირველი გამარჯვება

ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელებმა თასის მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მატჩში სტოკჰოლმში ანგარიშით 115:67 დაამარცხეს ადგილობრივი „სოლნა“.

ნევისპირელებმა ლამაზი თამაში აჩვენეს და დიდი სიამოვნება მოჰგვარეს შეეციის სპორტის მოყვარულებს. განსაკუთრებული მოწონება ხვდა ოლიმპიური ჩემპიონის ა. ბელოვისა და ფეოდოროვის თამაშს, რომელმაც 27 ქულა შესძინა კოლექტივს.

საპასუხო მაჩი გაიმართება ლენინგრადში 10 დეკემბერს.

რინგის მასპინძლების წარმატება

ათენი ავიღნენ ლენინგრადის მესამე საერთაშორისო ტურნირის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე საბჭოთა სპორტსმენები. ეს სასიამოვნო მისია უცხოელ მოკრივეთაგან ხვდა მხოლოდ ერთს.

აი ვინ გაზდა ამ ტურნირის ლაურეატი წონითი, კატეგორიების მიხედვით: ს. დურიანი, ფ. ფეოდოროვი, დ. ტოროსიანი, ზ. ზაბეშევსკი (პოლონეთი), ფ. ანისოვი, ს. კაზარიანი, ა. სკოროხოდოვი, ვ. გუმნიკოვი, ნ. ნოვიკოვი, ი. ბისტროვი და ვ. ალექსეევი.

შეგიბრებაში მონაწილეობდა ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, იტალიის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის 68 მოკრივე.

დინამოელები სინგაპურში

თბილისი „დინამოს“ ფეხბურთელებმა, რომლებიც ტურნირებს აწარმოებენ ნიგერიაში, ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ქვეყნის ნაკრები. სტუმრები აქ კიდევ ორ შეხვედრას გამართავენ ადგილობრივი ჩემპიონატის ლიდერთან.

„ბაირაქტი“ ნიგერიაში

ალმა-ატა „ბაირაქტის“ ფეხბურთელებმა, რომლებიც ტურნირებს აწარმოებენ ნიგერიაში, ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ქვეყნის ნაკრები. სტუმრები აქ კიდევ ორ შეხვედრას გამართავენ ადგილობრივი ჩემპიონატის ლიდერთან.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულებით ამბ. კონსტანტინე ივანეს-ძე ქავთარაძე განთავისუფლებულია საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოვალეობისაგან.

ტელევიზია

8 დეკემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — კინოპროგრამა, 12.05 — მხატვრული ფილმი „დანდობის გარეშე“ (II სერია), 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 17.20 — ახალი ამბები, 17.25 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.35 — „ეთერშია ახალგაზრდობა? — „კომკავშირის წარგზავნილნი“, 19.00 — კინონარკვევი, 19.15 — სპორტული ჯადაცემა — „მედლის ორი მხარე“, 19.35 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „ურღვევი კავშირი“ — საქართველოს სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საბჭოური ხასიათი ეკრანზე“.

მეორე პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა და ლიტერატურა, 17.50 — განცხადებები, 17.55 — მხატვრული ფილმი — „ეგრიუმ მდინარე“ (III სერია), 19.00 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 20.00 — ლექცია სკკპ ისტორიაში, 21.00 — კინოპროგრამა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

8 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჩიო-ჩიო-სანი (მე-6 აბონ. მე-10 წარმოდგენა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ანტიგონე; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფიქრები ჯოჯოხეთში.

რედაქტორი
დ. მეჯლიუვილი.

ქომუნისტი

280008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივ ნახ — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.